



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N12

ქ. ლანჩხუთი

30. 08. 2019 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო მიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბჟეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ბიძინა იმნაიშვილი, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ელიკო იმნაძე, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, ელექტრონული პეტიციის ავტორი მკვლევარი და რეჟისორი ირაკლი მახარაძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა სამი საკითხი. მან მოუწოდა საკრებულოს წევრებს აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.

მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ელიკო იმნაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯამბულათ ხოფერიას ქუჩის გაგრძელების სახელდების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ე. ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე მოედნისთვის გურული მხედერების სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების

მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ლევან ჩხაიძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლების მიმღების ინდ. მეწარმე ლევან ჩხაიძის მიერ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

9. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტის შესწორებულ ვარიანტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.

მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა **ელიკო იმნაძემ**. მან განმარტა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 2017 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი

ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი, ნაცვლად გამგებლისა, არის მერი, ხოლო მერია წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის N23 დადგენილება საჭიროებს ორგანულ კანონთან შესაბამისობაში მოყვანას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.

მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N 14 (30.08.2019)

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: . „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წლის 29 მაისს მომართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა N5382/01 წერილით - ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსთვის“ (ს/ნ 404923785) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ქალაქ ლანჩხუთში, კოსტავას ქუჩა N37-ში მდებარე მერიის შენობის პირველი სართულის მარცხენა ფლიგელში არსებული 44,52 კვ.მ. ფართობის (ს/კ 27.06.52.114) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე. აღნიშნულის საფუძველზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მომზადდა განკარგულების პროექტი: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, გადასცეს სახელმწიფო ორგანოებს. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 43 (30.08.2019)

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტში გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯამბულათ ხოფერიას ქუჩის გაგრძელების სახელდების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ**. მან აღნიშნა, რომ „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამთავრობო კომისიის მიერ გაცემულია თანხმობა: გაგრძელდეს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯამბულათ ხოფერიას ქუჩა, (სარკინიგზო გადასასვლელის შემდეგ) თანდართული რუკის თანახმად. შესაბამისად საკრებულოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილია აღნიშნული პროექტი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 44 (30.08.2019)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტში ე. ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე მოედნისთვის გურული მხედრების სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ**. მან განმარტა, რომ მას შემდეგ რაც ლანჩუთის მუნიციპალიტეტში ირაკლი მახარაძის მიერ ელექტრონული სახით შემოტანილი იქნა პეტიცია ე. ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე მოედნისთვის გურული მხედრების სახელის მინიჭების შესახებ, ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ყველა პროცედურის დაცვით, ხოლო შემდგომში „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამთავრობო კომისიის მიერ გაცემულია თანხმობა ლანჩუთის მუნიციპალიტეტში ე.ნინოშვილის ქუჩაზე არსებულ მოედანს ეწოდოს გურული მხედრების სახელობის მოედანი, თანდართული რუკის თანახმად. შესაბამისად საკრებულოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილია აღნიშნული პროექტი.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **ვერიკო კვირკველია** ასევე მოხარულია იმ ფაქტით, რომ მისი კომისიის თავმჯდომარედ მუშაობის დროს მოხდა აღნიშნული მოედნისთვის გურული მხედრების სახელის მინიჭება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 45 (30.08.2019)

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მიმართა ელექტრონული პეტიციის ავტორს, ირაკლი მახარაძეს გამოეთქვა საკუთარი მოსაზრება აღნიშნული საკითხის ირგვლივ.

მკვლევარი და რეჟისორი **ირაკლი მახარაძე** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მიულოცა მათ აღნიშნული მოედნისთვის გურული მხედრების სახელის მინიჭება და აღნიშნა, რომ ეს იქნება პატივისცემის გამოხატვა გურული მხედრების მიმართ, რადგან ლანჩხუთელებმა პირველებმა გაჭრეს ფანჯარა დასავლეთში და ეს არის უძველესი ქართულ-ამერიკული ურთიერთობების დადასტურებული ისტორია. მისი თქმით კარგია, თუ შემდეგი ნაბიჯი იქნება მოედანზე მონუმენტის დადგმა, რომლის კვარცხლბეკზეც ბარელიეფებით ქართულ-ინგლისურად იქნება მოთხრობილი გურული მხედრების ისტორია, ხოლო მონუმენტის მაკეტი მისი და მოქანდაკე დავით მინდორაშვილის მიერ უკვე დამზადებულია.

მკვლევარი და რეჟისორი **ირაკლი მახარაძე** მიიჩნევს, რომ ეს მონუმენტი გახდება ღირსშესანიშნაობა, რომელიც დაამშვენებს ქალაქს, ასევე მნიშვნელოვანი იქნება ტურისტული თვალსაზრისით, მოიზიდავს უამრავ დამთვალიერებელს, განსაკუთრებით კი მხედრების ისტორია დაინტერესებს უცხოელ ვიზიტორებს.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სახდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ პროექტი მომზადებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების პარკირების ადგილისათვის განსაზღვრული საცნობი ნიშნის ფორმის დამტკიცებისა და საცნობი ნიშნის ფორმის გაცემის პროცედურების სრულყოფის მიზნით. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას და მასში შედის შემდეგი სახის ცვლილება, კერძოდ:

დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების- ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესები დანართი N1-ის შესაბამისად. 2. დადგინდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების პარკირების ადგილისათვის განსაზღვრული საცნობი ნიშნის ფორმა დანართი N2-ის შესაბამისად.“

დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2.

2020 წლის 1 მარტამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს პარკირების ორგანიზებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა“ .

დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი

ნორმების ავტომატური პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომატური პარკირების წესების“:

ა) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. პარკირების ორგანიზება:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია პარკირების ორგანიზება მთლიანად ან ნაწილობრივ განახორციელოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მეშვეობით, წინამდებარე წესის შესაბამისად. 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პარკირების ორგანიზება გულისხმობს: ა) პარკირების საერთო და სპეციალური ადგილების განსაზღვრის, პარკირების საერთო ადგილებზე ავტომატური პარკირების დგომის წესების დადგენას (მართობული დგომა, 90 გრადუსიანი დგომა ან/და 45 გრადუსიანი დგომა); ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე ავტომატური პარკირების მთლიანად ან ნაწილობრივ შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას; გ) პარკირების სპეციალურ ადგილებზე ცალკეული ავტომატური პარკირებისათვის გარკვეული მოთხოვნების შემუშავებას და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენას; დ) პარკირების ადგილების შესაბამისი საცნობარო და საინფორმაციო ნიშნებით აღჭურვას, პარკირების ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის უზრუნველყოფას; ე) საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე წესით გათვალისწინებული სხვა უფლება- მოვალეობების განხორციელებას. 3. ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების ორგანიზება გულისხმობს: ა) პარკირების ადგილების მიზნობრივად გამოყენების უზრუნველყოფას; ბ) პარკირების ადგილების საცნობარო და საინფორმაციო ნიშნებით აღჭურვას; გ) პარკირების ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის უზრუნველყოფას; დ) პარკირების ადგილებზე ავტომატური პარკირების დგომის წესების დაცვაზე კონტროლის დაწესებას; ე) პარკირების ადგილების მოწყობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობის წერილით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებას; ვ) წინამდებარე წესის მოთხოვნების სრულად შესრულებას.“

ბ) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა:

1. პარკირების ორგანიზების უფლება პირდაპირი წესით, უსასყიდლოდ გადაეცემათ: ა) სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე; ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე; გ) სახელმწიფოს მიერ მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი არის სახელმწიფო, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე; დ) ავტონომიური რესპუბლიკების მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელია ავტონომიური რესპუბლიკები, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე; ე) დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე; ვ) საერთაშორისო ორგანიზაციებს და მისიებს, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე. 2. პარკირების ორგანიზების უფლების უსასყიდლოდ გადაცემის მოთხოვნასთან ერთად ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენენ პარკირების ადგილების მოწყობის ესკიზურ პროექტს, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს პარკირების ადგილების კეთილმოწყობისა და პარკირების ადგილებზე ავტომატური პარკირების დგომის წესებს (მართობული დგომა, 45- გრადუსიანი

დგომა, 90-გრადუსიანი დგომა), თუ პარკირების ადგილებისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, უკვე დადგენილი არ არის აღნიშნული წესები ან/და მიზანშეწონილია ავტომანქანების დგომის უკვე დადგენილი წესებისაგან განსხვავებული წესების დადგენა. 3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან პარკირებისათვის გადაცემული ადგილების, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შეთანხმებული ესკიზური პროექტის შესაბამისად კეთილმოწყობა განახორციელონ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ თანხმობის წერილით დაწესებულ ვადაში. 4. დაუშვებელია უსასყიდლოდ გადაცემულ იქნეს პარკირების სპეციალური ადგილების ორგანიზების უფლება. 5. პარკირების ორგანიზების უფლების უსასყიდლოდ გადაცემისას, პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, აკრძალულია რაიმე სახის საფასურის დაწესება. 6. პარკირების ორგანიზების უფლების უსასყიდლოდ გადაცემისას, პარკირების ადგილები, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, აკრძალულია გამოყენებულ იქნეს პარკირების სპეციალურ ადგილებად.“

გ) მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე ავტომანქანების პარკირების მთლიანად ან ნაწილობრივ შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

დ) მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დგომა/გაჩერების წესი:

1. აკრძალულია ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე პირველ და მეორე ზოლში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დგომა/გაჩერება ხუთ წუთზე მეტი დროით, თუ ეს არ ეხება მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომას. 2. ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე პირველ ზოლში ნებადართულ იქნეს მხოლოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის, მერის პირველი მოადგილის/მოადგილის, საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დგომა/გაჩერება. 3. ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე მეორე ზოლში ნებადართულია მხოლოდ მერიის/საკრებულოს თანამშრომელთა და საკრებულოს წევრთა საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დგომა/გაჩერება. 4. აღნიშნულ ზოლებში დგომა/გაჩერების უფლების მქონე ავტომობილებზე გაიცემა დადგენილი ნიმუშის საშვი.“

ე) მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. საცნობი ნიშნის გაცემა:

1. საცნობი ნიშნის მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს მერიას და მას დაურთოს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის N64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 2-ით განსაზღვრული ფორმა NIV-50/2-ის შესაბამისად გაცემული პირის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა საადრიცხვო ბაზაში რეგისტრირებულ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ. მერია უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

2. საცნობი ნიშნის მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები

არასრულწლოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს მერიას და მას დაურთოს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის № 64/ნბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 2-ით განსაზღვრული ფორმა NIV-50/2-ის შესაბამისად გაცემული პირის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა სააღრიცხვო ბაზაში რეგისტრირებულ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ, დაბადების მოწმობის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი, კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი. მერია უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი. 3. საცნობი ნიშნის მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს მერიას და მას დაურთოს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის N64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 2-ით განსაზღვრული ფორმა NIV- 50/2-ის შესაბამისად გაცემული პირის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა სააღრიცხვო ბაზაში რეგისტრირებულ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ, პირის შეზღუდული ქმედუნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან დამოწმებული ქსეროასლი, მშობლობის ან კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი. მერია უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი. 4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე გაიცემა ერთი საცნობი ნიშანი. 5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ფიზიკურ/იურიდიულ პირზე გაიცემა იმ რაოდენობის საცნობი ნიშანი, რამდენი ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებაც მას აქვს საკუთრებაში. 6. საცნობი ნიშანი გაიცემა უსასყიდლოდ პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად -2 წლის ვადით, მე-2 პუნქტის შესაბამისად- არასრულწლოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სრულწლოვანობამდე (ამასთან, საშვის მოქმედების ვადა ყოველ გაცემაზე არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს), ხოლო მე-5 პუნქტის შესაბამისად- სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე იურიდიული პირის რეგისტრაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაუქმებამდე (ამასთან, საშვის მოქმედების ვადა ყოველ გაცემაზე არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს), ან იმგვარი გარემოების დადგომამდე, რომლის არსებობისას საშვი არ გაიცემოდა. 7. საცნობი ნიშანი განთავსებული უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალების წინა საქარე მინაზე, ისე, რომ უფლებამოსილი პირის მიერ შესაძლებელი იყოს მისი ამოკითხვა. 8. საცნობი ნიშანი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ პირის მიერ ან/და სატრანსპორტო საშუალებისათვის, რომლისთვისაც ის გაიცა. 9. საცნობი ნიშნის მფლობელის მიერ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიაში წერილობითი ფორმით ახალი საცნობი ნიშნის აღების თაობაზე დასაბუთებული მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, თუ ლანჩუთის

მუნიციპალიტეტის მერია ჩათვლის საჭიროდ, მფლობელი/არასრულწლოვანი/შეზღუდული კმედუნარიანობის მქონე პირის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგინოს ხელახლა, რის შემდეგაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახლი საცნობი ნიშანი გაიცემა ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ვადით. 10. საცნობი ნიშნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, მფლობელი ვალდებულია შესაბამისი ინფორმაცია დაუყონებლივ მიაწოდოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას. 11. საცნობი ნიშნის დაკარგვისას, მისი აღდგენის თხოვნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით მიმართავს საცნობი ნიშნის კანონიერი მფლობელი და აღდგენისთვის. მასვე ეკისრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე თანხის გადახდის ვალდებულება ათი ლარის ოდენობით. 12. თუ საცნობი ნიშანი ამ წესის შესაბამისად არ იქნება განთავსებული სატრანსპორტო საშუალებაზე და მოხდება ამ სატრანსპორტო საშუალების პარკირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის განსაზღვრულ პარკირების ადგილზე, აღნიშნული შემთხვევა განიხილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სატრანსპორტო საშუალებისთვის განსაზღვრულ პარკირების ადგილზე არაუფლებამოსილი პირის მიერ სატრანსპორტო საშუალების პარკირებად. 13. პარკირების ოპერატორი ვალდებულია საეჭვო საცნობი ნიშნის დაფიქსირების შემთხვევაში უზრუნველყოს სამართალდამცავი ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდება. 14. საცნობი ნიშნის მოქმედება ვადამდე წყდება იმ შემთხვევაში, თუ: ა) საცნობი ნიშანი მიღებულია არასწორი ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე; ბ) საცნობი ნიშნის მფლობელმა საცნობი ნიშანი გადასცა სხვას; გ) სხვა ისეთი გარემოების აღმოჩენის ან გამოვლენისას, რომლის არსებობის შემთხვევაშიც საცნობი ნიშანი არ გაიცემა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 46 (30.08.2019)

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ**. მან წარმოადგინა მუნიციპალიტეტში 2020 წელს სხვადასხვა ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა.

ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაციის ფონდით განსახორციელებელი პროექტები:

1. ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის მშენებლობა;
2. ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის მშენებლობა;
3. ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის მშენებლობა;
4. ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის მშენებლობა;
5. მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის რეაბილიტაცია;

6. გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის რეაბილიტაცია;
7. ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის რეაბილიტაცია;
8. ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის რეაბილიტაცია;
9. ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის რეაბილიტაცია;
10. ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის რეაბილიტაცია.

რეგიონული განვითარების ფონდით განსახორციელებელი პროექტები:

1. ქალაქ ლანჩხუთში საფეხმავლო ბილიკების, გარე განათების და მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი შენობების ფასადების რეაბილიტაცია;
2. ქალაქ ლანჩხუთში 10 ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა;
3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია;
4. ქალაქ ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია;
5. საფეხბურთო აკადემიის მოედნის განათების და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები;
6. ქალაქ ლანჩხუთში 7 ქუჩაზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა;
7. სოფ. გროგოლეთში პალიასტომის ტბაზე შესასვლელის მოწყობა;
8. ქალაქ ლანჩხუთში მინი სტადიონების რეაბილიტაცია;
9. ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალურ მაგისტრალზე გარე განათების მოწყობა;
10. ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში ყვავილნარში გზის რეაბილიტაცია;
11. სოფ. ქვემო შუხუთში ლელოს მუზეუმის მშენებლობა;
12. ჟორდანას სახელობის სკვერის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია;
13. ორაგვის ტურისტული ზონის ინფრასტრუქტურის მოწყობა;
14. კურორტ გრიგოლეთში შიდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

წყლის ხარისხის გაუმჯობესების პროგრამით განსახორციელებელი პროექტი:

ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია.

სტიქიის პრევენციის ფონდით განსახორციელებელი პროექტი:

ქალაქ ლანჩხუთში მორჩილადის და ნათლისმცემლის ქუჩების სანიაღვრე არხების მოწყობა.

საკრებულოს წევრმა **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ პროექტში არის ტექნიკური ხასიათის შეცდომები, რაც აუცილებლად უნდა გასწორდეს; მისთვის ასევე გაუგებარია რატომ კეთდება სოფ. გრიგოლეთში პალიასტომის ტბაზე შესასვლელი, რადგან ის დაცული ტერიტორიაა და ფოთის მხრიდან უკვე არის გაკეთებული შესასვლელი დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე **გოგი მორჩილაძე**, საკრებულოს წევრები **ლელა ჩახვაძე** და **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდნენ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში კეთდება თუ არა რამე სოფ. აკეთში, სოფ. ნინოშვილში და სოფ. ლესაში. დეპუტატი ელისო ჭიჭინაძე ასევე დაინტერესდა რატომ ხდება სოფ. ლესაში ძველი ამბულატორიის რეაბილიტაცია და არ შენდება ახალი ამბულატორია, რომელიც ამავე სოფლის მოსახლეობის მოთხოვნა იყო.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა,

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლებმა სოფ. ქვიანში ამბულატორიის რეაბილიტაციის პროექტის გაკეთებამდე გაიარეს, თუ არა კონსულტაცია ამ უბნის ექიმთან ამბულატორიაში საჭირო ოთახების რაოდენობისა და კეთილმოწყობის თაობაზე.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ იმ ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც მუნიციპალიტეტს ქონდა და აქვს საკუთრება, ამასთანავე შესაძლებელია სრულყოფილად განთავსდეს ამბულატორია, ხდება ამბულატორიის რეაბილიტაცია, ხოლო სადაც არ იყო, იქ აშენებენ ახალს. მისი თქმით, ახალი ამბულატორიის გაკეთება იქ, სადაც შესაძლებელია ძველის რეაბილიტაცია, არასახელმწიფოებრივი მიდგომა იქნება. კონკრეტულად, ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში ამის საშუალება არის და გაკეთდება ძველი ამბულატორიის სრულყოფილი რეაბილიტაცია საექიმო კაბინეტებით და სველი წერტილებით.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ამბულატორიების პროექტებთან დაკავშირებით ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი საკუთარი ნება-სურვილით არ აკეთებს პროექტებს, ყველაფერი კეთდება ხარისხის და მართვის სააგენტოს მიერ დადგენილი სტანდარტებით, ხოლო რაც შეეხება დაცულ ტერიტორიაზე სოფ. გრიგოლეთში პალიასტომის ტბაზე შესასვლელის გაკეთებას, შესაძლებელია დაცული ტერიტორიების სააგენტოდან ნებართვის აღების საფუძველზე.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში კეთდება აცანა-აკეთის და შუხუთი-აკეთის დამაკავშირებელი გზები. ასევე ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში კეთდება ნიგვზიანთან დამაკავშირებელი გზა, ხოლო ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში კეთდება 370 000 ლარის ღირებულების წყლის მიწოდების პროექტი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ის მიესალმება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში ხელოვნურსაფარიანი სტადიონების მშენებლობა-რეაბილიტაციას, მაგრამ ასევე დაინტერესდა, რა ბედი ეწევა ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში 2015 წლის გაზაფხულზე დაწყებულ ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მშენებლობას, რომელიც დღემდე დაუსრულებელია. მან კითხვით მიმართა მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულში თუ არის მსგავსი პრობლემა.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ ანალოგიური პრობლემა იყო ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც სოფლის პროგრამით დაიწყეს სტადიონის გაკეთება, ამ მიზნით

გამოყოფილი თანხა არ დარჩა საკმარისი სამუშაოს დასასრულებლად და შემდგომში ისევ სოფლის პროგრამით დაასრულეს ამ სტადიონის მშენებლობა.

საკრებულოს წევრი **ამირან ქანთარია** დაინტერესდა, როდის მოხდება აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია და როდის გაკეთდება გადასასვლელები ჟორდანიას ქუჩიდან ქალაქის სხვა ქუჩებზე.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ აღმაშენებლის ქუჩა იქნება ავტობანთან დამაკავშირებელი ძირითადი ქუჩა, მაგრამ რეაბილიტაცია ჯერ-ჯერობით შეჩერებულია, ხოლო რაც შეეხება ჟორდანიას ქუჩას, ასფალტის საფარი საგზაო დეპარტამენტმა დააგო და შესაბამისად იქედან ელოდებიან პასუხს გადასასვლელებთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრის, **აკაკი იმნაიშვილის** თქმით, სოფ. შუხუთში წლების მნძილზე მწვავედ დგას სასმელი წყლის პრობლემა. მოსახლეობა ასევე ითხოვს სტადიონის გაკეთებას.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ სოფლის პროგრამით მოსახლეობამ პრიორიტეტად დაასახელა შიდა გზების მოწესრიგება და ეს თანხები არ არის საკმარისი სხვა პრობლემების მოსაგვარებლად.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N47 (30.08.2019)

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მან სხდომის წევრებს გააცნო წერილი N47, რომლითაც მიმდინარე წლის 14 აგვისტოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“, (ს/კ 433649411) დირექტორმა ლია ურუშაძემ:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსაში, არსებული N1 შენობა-ნაგებობის, მეორე სართულის 168,40 კვ.მ. ფართობისა და მასზედ წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.15.52.398.01.501) სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. ზემოაღნიშნული უძრავი ქონების

პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემა აიპისთვის არის მიზანშეწონილი, ის შეძლებს მისთვის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების უკეთ განხორციელებას, რადგან 2010 წლიდან იქ განთავსებულია მის დაქვემდებარებაში შემავალი სუფსის სამუსიკო სკოლა.“

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებია განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ, დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, მისი არსებობის ვადით. ასევე პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 1 წევრი (იოსებ ჩხაიძე).

მიღებულ იქნა განკარგულება N48 (30.08.2019)

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლების მიმღების ინდ. მეწარმე ლევან ჩხაიძის მიერ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებია. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წლის 5 აგვისტოს N4927 განცხადებით მომართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლების მიმღებმა პირმა - ინდ. მეწარმე ლევან ჩხაიძემ, რომელმაც აღნიშნულ განცხადებაში მის მიერ, მოყვანილი მოტივების საფუძველზე, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლება, რომლის ოდენობა შეადგენს 772 (შვიდას სამოცდათორმეტი) ლარს. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხი, რომელიც შეეხება მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის მიმღები პირის, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებულ პირგასამტეხლოსგან განთავისუფლებას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 49 (30.08.2019)

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა **კარლო კვიტაიშვილმა** მოიწონა ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები, მაგრამ უკმაყოფილოა N1 საშუალო სკოლის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოუწესრიგებლობის გამო. მან ასევე აღნიშნა, რომ ლანჩხუთი-აბაშის დამაკავშირებელ გზაზე საყანე ფართობებიდან გადმოსულია ე.წ. „ჩოჩოები“, რომელთა ამოსადირკვად საჭიროა სპეციალური ტექნიკა, რის გამოც ლაშისღელის მოსახლეობა ითხოვს დახმარებას.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ შეფერხებულია ბენეფიციარების მედიკამენტების და საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსების პროგრამა, რაც გამოწვეულია ფინანსების არ ქონით. მისი თქმით, ეს არის ძალიან კარგი და საჭირო პროგრამა, რომლის ასამუშავებლად აუცილებლად უნდა გამოინახოს ფინანსები. მან ასევე აღნიშნა, რომ ცენტრალურ ავტომაგისტრალზე, გრიგოლეთი-ლანჩხუთის მიმართულებით გასაკეთებელია მოსაცდელები. გარდა ამისა, მისი თქმით, თუ დროულად არ იქნება ფინანსური დახმარება ლესის კულტურის სახლში მიმდინარე რემონტის დასასრულებლად და არ დაიგება იატაკი, გაწეული ხარჯებიც არამიზნობრივად გაწეული გამოვა.

საკრებულოს წევრმა **ცისანა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ სოციალურ სამსახურში ბენეფიციარებისთვის დაემატა ახალი პროგრამა მედიკამენტების ფართო ჩამონათვალით, რომელიც არ არის ქულაზე მიბმული და არ არის განსაზღვრული კატეგორია. ამ პროგრამით სარგებლობა შესაძლებელია უბნის ექიმის მიერ გაცემული ფორმა N 100-ის საფუძველზე. მან ასევე ითხოვა მუნიციპალიტეტიდან დახმარება შშმ ბავშვებისთვის, რომელთა რეაბილიტაციასაც აფინანსებს სახელმწიფო, მაგრამ ბენეფიციარები ვერ ახერხებენ ამ მომსახურების მიღებას, რადგან ტრანსპორტირება არ არის უზრუნველყოფილი.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო